ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 132613511**

თარიღი:**15/05/2026**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუქნტის შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნეს, ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, 2026 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები, დანართის შესაბაბისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.#60ა.)

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	2026 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	კატეგორია	სავარაუდო ღირებულება
1	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქალაქ ახალციხეში ჯაყელის ქუჩა №72 და №74 მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა	საყრდენი კედელი	125 440,44
2	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ქალაქ ახალციხეში ნიკოლაძის ქუჩისა და საყრდენი კედლის მოწყობა	საყრდენი კედელი	468 580,72

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე- საბა კბილაშვილი